ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი
№3, ივნისი (სპეციალური ნომერი) 2020

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/47

ქ. ბათუმი ,19 მაისი, 2020 წ.

ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების
სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის“ საფუძველზე, ,,ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანების, ,,ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2020 წლის 02 მარტის №434 განკარგულების, კორონავირუსული ინფექციების შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ბსუ-ს პერსონალის სამსახურში გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 13 მარტის N01-10/37 ბრძანების, ,ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელი დროებითი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 16 მარტის №01-02/35 ბრძანების, ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების, ,,საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილებისა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციების (MES 520 00322223, 31.03. 2020), ,,საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ბსუ-ში სასწავლო პროცესის განხორციელების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 31 მარტის 01-02/39 ბრძანების, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 6 აპრილის N01-02/42 ბრძანების, ,,სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის N01-149/ო ბრძანებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გზავნილის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლაბორატორიებისა და საგამოცდო ცენტრების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების შესახებ) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1 ,,სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის N01-149/ო ბრძანებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლაბორატორიებისა და საგამოცდო ცენტრების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე დამტკიცდეს თანდართული ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმა (დანართი 1, შემდეგში - სამოქმედო გეგმა).

2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს:

ა) წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულებისათვის საჭირო მატერიალური რესურსების (დეზობარიერები, სადეზინფექციო საშუალებები, იდს-ების, ტემპერატურის საზომის საშუალებების) შესყიდვის განხორციელება;

ბ) დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილებისა და დასუფთავების განყოფილების მიერ წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების აღსრულების კონტროლი.

3. ეთხოვოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე) წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ფაკულტეტების მიერ აღსრულების შესრულების კონტროლი.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი
მერაბ ხალვაში

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის
19 მაისის N 01-02/47 ბრძანების

დანართი 1

ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების წინამდებარე ბსუ-ს სამოქმედო გეგმა (შემდეგში - სამოქმედო გეგმა) მიზნად ისახავს გაგრძელდეს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის დისტანციურად, ონლაინ სწავლების პლატფორმის (პროგრამის) „ZOOM" (შემდეგში „ზუმის“) მეშვეობით წარმართვა და შემდეგი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა შესრულება/აღსრულება:

ა) „ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელი დროებითი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 16 მარტის №01-02/35 ბრძანება;

ბ) „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ბსუ-ში სასწავლო პროცესის განხორციელების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 31 მარტის 01-02/39 ბრძანება (მათ შორის ამ ბრძანების დანართი 1 - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციებით);

გ) „2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 6 აპრილის N01-02/42 ბრძანება;

დ) „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის N01-149/ო ბრძანება.

მუხლი 2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ სამუშაო ადგილების მიმართ შესასრულებელი რეკომენდაციები

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდეგში - მინისტრის) 2020 წლის 4 აპრილის N01-149/ო ბრძანებით განისაზღვრა რეკომენდაციები სამუშაო ადგილების მიმართ, ინფიცირების რისკების მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი მიიჩნევა რა ინფიცირების საშუალო რისკის მქონე დაწესებულებად, სამუშაო ადგილების მიმართებით უნდა შესრულდეს შემდეგი სახის რეკომენდაციები:

ა) ბსუ-ს შენობების შესასვლელებში უნდა განთავსდეს დეზობარიერები (მათ შორის სასადილოს ფუნქციონიერების შემთხვევაში, მის შესასვლელში), შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;

ბ) სამუშაო ადგილზე თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს ხელის ჰიგიენური საშუალებები (ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარი) და მათი სწორად მოხმარების წესები (დასაქმებულე-

ბს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ინდივიდუალური დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოცილებაზე, ასევე მობილური/ქალაქის ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში მისი შესაბამისი წესით პერიოდული დამუშავების შესახებ);

გ) ბსუ-ს კანცელარიაში პერსონალთან, სტუდენტებთან და გარეშე პირებთან კომუნიკაცია უნდა წარიმართოს დამონტაჟებული ფიზიკური ბარიერის მეშვეობით;

დ) უნდა შეიზღუდოს ფართო საზოგადოების დაშვება სამუშაო ადგილზე, ან ისინი დაშვებული უნდა იქნან მხოლოდ განსაზღვრულ სამუშაო არეალში (საჭიროების შემთხვევაში განხილული უნდა იქნეს პირადი კონტაქტის მინიმუმამდე შემცირების ღონისძიებები (მაგ. მანქანიდან გადმოუსვლელად მომსახურების მიღების ადგილების მოწყობა, ტელეფონით კომუნიკაცია, ან დისტანციური მუშაობა პერსონალისათვის). იმ თანამშრომლებთან დაკავშირებით, რომელთაც შეუძლიათ სამუშაოს შესრულება დისტანციურად, მაქსიმალურად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მუშაობის ამგვარი მეთოდის გამოყენება. შესაძლებლობის ფარგლებში დაწესდეს შეზღუდვები სამუშაო დროზე და გამოყენებული იქნეს თანამშრომელთა როტაცია;

ე) თუკი კონკრეტული პოზიციის/თანამდებობის პირის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (შენობაში/მიწის ნაკვეთზე/ეზოში) ყოფნა/გამოცხადება ან/და სამსახურებრივი მივლინება (საველე სამუშაო და სხვა) დაკავშირებულია ამ პოზიციის/თანამდებობის სპეციფიკასთან, შრომითი საქმიანობა უნდა წარიმართოს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გაცემული რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულებით (საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებები, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის N01-149/ო ბრძანება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლაბორატორიებისა და საგამოცდო ცენტრების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები, ასევე ვებგვერდზე - სტოპკოვ.გე განთავსებული რეკომენდაციები).

ვ) სამუშაო ადგილზე სამუშაოს დაწყების წინ უნდა გაკონტროლდეს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ტემპერატურის გაზომვით) და აღირიცხოს იგი წინამდებარე სამოქმედო გეგმის თანდართული ფორმის შესაბამისად შედგენილ ჟურნალში (ფორმა 1), სადაც დაფიქსირებული იქნება პასუხები შემდეგ კითხვებზე: 1. ტემპერატურული რეაქცია; 2. შემდგარი კონტაქტი ავადმყოფ და ინფექციაზე საეჭვო პირთან; 3. რესპირატორული სიმპტომების არსებობა, ასევე გემოს და სუნის აღქმის დაკარგვა;

ზ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს „ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების მოთხოვნათა დაცვა, ამავე დადგენილებით დაშვებული გამონაკლისების გათვალისწინებით;

თ) ბსუ-ს კანცელარიასთან, ასევე ბსუ-ს ადმინისტრაციული შენობის გარდა სხვა მისამართზე მდებარე ბსუ-ს კორპუსების შესასვლელებში, თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს განცხადებები COVID-19-ის და იმ პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, რათა დასაქმებულებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაეცნონ მათ სამუშაო პროცესის დაწყებამდე;

ი) საჭიროების შემთხვევაში, დასაქმებულები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით ((შემდეგში - იდს, ხელთათმანები, პირბადე). იდს-ს შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი საკითხები, როგორიცაა, მათი ფუნქცია, მორგებადობა, გაუსნებოვნების შესაძლებლობა და საბოლოო განთავსება. თითოეულმა დამსაქმებელმა უნდა შეარჩიოს იდს-ების ისეთი კომბინაცია, რომელიც თანამშრომლებს დაიცავს კონკრეტულად მისი სამუშაო ადგილის გათვალისწინებით (ინფიცირების საშუალო რისკის მქონე თანამშრომლებს, რისკის შეფასების შედეგების შესაბამისად, შესაძლოა დასჭირდეთ ხელთათმანების, კომბინიზონის, სახის ნიღბის ან/და სახის დამცავი ფარის, ან დამცავი სათვალეების კომბინაციის გამოყენება);

კ) გათვალისწინებული უნდა იქნეს სახის ნიღბების შეთავაზების საკითხი ყველა დაავადებული თანამშრომლისათვის და მომხმარებლისთვის, რათა შეკავებული იქნეს რესპირაციული სეკრეციები იმ დრომდე, სანამ ისინი შეძლებენ სამუშაო ადგილის დატოვებას. ნიღბების დეფიციტის შემთხვევაში გამოყენებული იქნეს მრავალჯერადი სახის დამცავი ფარი, რომლის გაუსნებოვნებაც შესაძლოა იყოს წვეთოვანი გზით ვირუსის გავრცელებისაგან თავის დასაცავად;

ლ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბსუ-ს სამუშაო ოთახებში (ოფისებში) ავეჯის ისეთი განლაგება (ან შესაბამისი სივრცის ოთახში პერსონალის სამუშაო სივრცის ისე მოწყობა), რომ მოსაუბრეებს შორის დაცული იყოს 2 მ დისტანცია;

მ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს: 1. საერთო სამუშაო ფართის ყოველდღიური დეზინფექცია; 2. შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით სახელურების, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად შეხებადი ზედაპირების (მათ შორის კლავიატურის, ღილაკების, კარების სახელურების, ჩამრთველ/გამომრთველი ღილაკების) სანიტარული დამუშავება პერიოდულად (2 საათიანი ინტერვალებით), სამუშაო ინვენტარისა და მოწყობილობების რამდენჯერმე დღეში დამუშავება; 3. პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, სამუშაო სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია; 4. სანიტარული წერტილების პერიოდული დეზინფექცია;

ნ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დასაქმებულთა/ვიზიტორთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა, გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა უნდა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ მათი დროული გატანა შენობიდან, მუნიციპალურ ნარჩენებთან ერთად;

ო) მიუხედავად იმისა, არის თუ არა გამოვლენილი ინფექციის შემთხვევა, უნდა შემუშავდეს საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა, რაც ხელს შეუწყობს ავადმყოფობის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების შემცირებას, გამოვლენის შემთხვევაში კი - გავრცელების პრევენციას. უნდა შემუშავდეს იმ პირთა დაუყოვნებელი იზოლაციის პოლიტიკა და პროცედურები, რომელთაც ჩOVID-19-ის ნიშნები ან/და სიმპტომები გაჩენიათ, აღნიშნულთან დაკავშირებით მოახდინოს მათი ინფორმირება.

მუხლი 3. ზოგადი რეკომენდაციები პერსონალისათვის

1. რეკომენდებულია პერსონალმა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (შენობა ან/და ეზო) გაითვალისწინონ ან/და განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

ა) ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას, შესაბამისად, დასაქმებულმა უნდა დაიცვას ჰიგიენის წესები სამუშაო ადგილზე (ხელის ჰიგიენა უნდა ჩაიტაროონ დამატებით აუცილებლად: საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ; დახველების ან დაცემინების შემდეგ; დახველების ან დაცემინების შემდეგ; თანხის კუპიურებთან და მონეტებთან ხელით შეხების შემდეგ);

ბ) სამუშაო პროცესი განხორციელდეს წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესაბამისად;

გ) მისალმებისას არ ჩამოართვან ხელი ერთმანეთს და მოერიდონ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა), თავშეყრას, დაიცვან რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2 მ-სა);

დ) სამუშაოს შესრულებისას გამოიყენონ სრულად ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

ე) სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით უნდა დაასუფთავონ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებენ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;

ვ) გამოიყენონ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებენ ხელების დაბანას და გაშრობას (ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი);

ზ) დახველების და დაცემინების დროს უნდა მიიფარონ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი, ხოლო გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდონ ურნაში;

თ) მოერიდონ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ უნდა დაიმაგრონ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება (არ არის სასურველი ლითონის საყურეების, ბეჭდების და თმის ჟელეს გამოყენება).

2. პერსონალი არ უნდა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;

ბ) ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);

გ) აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.).

მუხლი 4.

1. ბსუ-ს ფაკულტეტებმა წინამდებარე სამოქმედო გეგმის აღსრულებისათვის უნდა შეასრულონ შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები:

ა) პროგრამის (სასწავლო კურსის) განმახორციელებელი პერსონალი (შემდეგში - ლექტორები) და სტუდენტების მიღება/დაშვება უნივერსიტეტში უნდა განხორციელდეს ფაკულტეტის დეკანის მიერ წინასწარ განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით (მომდევნო კვირის განრიგი წარედგინება რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ყოველ პარასკევს);

ბ) წინასწარ უნდა განსაზღვროს ლექტორებისა და ცვლებში მისაღები სტუდენტების რაოდენობა ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სამუშაო ფართის ყოველ 5მ2 ფართობზე 1 (ერთი) ადამიანის დაშვება;

გ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს: ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არაუმცირეს 2მ); სტუდენტთა განთავსება სასწავლო მაგიდებთან იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთისა და ლექტორის პირისპირ;

დ) უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ან საგამოცდო ცენტრში (გამოცდისათვის განკუთვნილ აუდიტორიაში) შესვლის წინ, ფაკულტეტის ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირის მიერ უნდა განხორციელდეს თერმოსკრინინგი, რათა გაკონტროლდეს როგორც ლექტორთა, ასევე სტუდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით (უნდა აღირიცხოს წინამდებარე გეგმის თანდართული ფორმის შესაბამისად შევსებულ ჟურნალში), ცხელების დაფიქსირების შემთვევაში კი მოხდეს ბსუ-ს ადმინისტრაციის ინფორმირება, რათა უნივერსიტეტმა დაუყოვნებლივ მიმართოს 112-ის ცხელ ხაზს;

ე) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ლექტორთა და სტუდენტთა დაშვება სასწავლო დაწესებულებაში მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღბები, საჭიროების შემთხვევაში სახის ფარები/დამცავი სათვალეები);

ვ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ლექტორები და სტუდენტები ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცები);

ზ) სამუშაო ადგილებზე უნდა განთავსდეს ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებები და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათი სწორად მოხმარების პრაქტიკა (შესაბამისი წესების გაცნობა, ლექტორების/სტუდენტების ინფორმირება/ტრენირება);

თ) ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე/თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს ინფორმაცია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

2. სასწავლო ლაბორატორიებში საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მიზნით უნდა ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

ა) ლექტორები სამუშაო ადგილას უნდა გამოცხადნენ წინასწარ შედგენილი ცხრილის მიხედვით. გამოყენებული უნდა იქნეს ლექტორებისა და სტუდენტებისთვის ცვლებში მუშაობის რეჟიმი;

ბ) სამუშაო ფართის ყოველ 5მ2 ფართობზე დასაშვებია მხოლოდ 1 (ერთი) ადამიანი. ლექტორები და სტუდენტები მაგიდებთან არ უნდა დასხდნენ ერთმანეთის პირისპირ;

გ) გამოყენებული უნდა იქნეს: ბუნებრივი ვენტილაცია ინტენსიურად და სამუშაო ადგილზე ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარი;

დ) სამუშაო სივრცეში არ უნდა დაიშვან ლექტორები და სტუდენტები, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალების გარეშე, მათ შორის: ნიღაბი; ხელთათმანი; სახის დამცავი ფარი; საჭიროების შემთხვევაში, ბახილები; სპეც. ტანსაცმელი/ხალათი;

ე) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა, გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით (უნდა მხოდეს ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ).

3. საგამოცდო ცენტრში (ან გამოცდისათვის განსაზღვრულ აუდიტორიაში) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მიზნით უნდა ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

ა) გამოცდაზე სტუდენტების მიღება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იმგვარად, რომ დაკავებული იყოს სამუშაო ფართის 50%. სტუდენტების მისაღებად გამოყენებული იქნეს ცვლებში მუშაობის რეჟიმი. ყოველი ცვლის შემდგომ გამოიყენებული უნდა იქნეს სანიტარული შესვენება;

ბ) მაგიდების განლაგებისას გამოყენებული უნდა იქნეს პრინციპი: სამუშაო სივრცის ყოველ 5მ2 ფართობზე დაიშვება მხოლოდ 1 (ერთი) ადამიანი. სტუდენტები მაგიდებთან არ უნდა დასხდნენ ერთმანეთის პირისპირ;

გ) ლექტორები და სტუდენტები არ უნდა იქნან დაშვებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე;

დ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საგამოცდო დარბაზის შესასვლელში ხელის დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;

ე) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა უნდა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით, ხოლო ნარჩენების დროული გატანა - შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

4. ბსუ-ს პერსონალი, ლექტორები და სტუდენტები ვალდებული არიან საუნივერსიტეტო სივრცეში შეასრულონ წინამდებარე ბრძანებით (სამოქმედო გეგმით) განსაზღვრული რეკომენდაციები, მათ შორის:

ა) დაიცვან ჰიგიენის წესები, გამოიყენონ სრულად ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, ჩაიტარონ ხელების ადეკვატური ჰიგიენა (სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებების გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა. ხილული დაბინძურების, ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას ხელების წყლითა და საპნით დაბანა სავალდებულო წესით);

ბ) მოერიდონ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას, მუშაობის პერიოდში უზრუნველყონ თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმის სახის ზედაპირთან შეხება (შესაძლებელია ჩაჩის, ან სპეციალური თავსაბურავის გამოყენება).

მუხლი 5. ბსუ-ს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

1. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დასაქმებულთა უსაფრთხო ტრანსპორტირება საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მათ შორის დაცული უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა) ტრანსპორტირების დაწყებისა და დასრულებისთანავე, მძღოლის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შიდა და გარე სახელურების დეზინფექცია;

ბ) ტრანსპორტით გადაადგილებისას, მგზავრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანი, პირბადე, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი თვალის/სახის დამცავი ფარი);

გ) M2 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე;

დ) მძღოლმა უნდა უზრუნველყოს ტრანსპორტირებამდე მგზავრისათვის/დასაქმებულთათვის ინფორმაციის მიწოდება, დადგენილი სტანდარტების შესახებ და გააცნოს ჰიგიენური საშუალებების სწორად მოხმარების წესები;

ე) ავტომობილით გადაადგილებისას, მძღოლმა უნდა უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების სალონის ბუნებრივი ვენტილაცია და გარკვეული პერიოდულობით მოახდინოს ხშირად გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობისა და სამუშაო ადგილების დეზინფექცია, სატრანსპორტო საშუალებების შიგნით არსებული ინვენტარის სანიტარული დამუშავება ყოველი შესრულებული სამარშუტო ხაზის შემდგომ, მაგრამ არაუმეტეს მგზავრების გადაყვანამდე 10 საათით ადრე;

ვ) გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური საშუალებების მოსაცილებლად, M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებში უნდა არსებობდეს დახურული კონტეინერი;

ზ) M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას, შესაძლებლობის გათვალისწინებით, უნდა მოეწყოს დროებითი დამცავი გამჭვირვალე ბარიერი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის კაბინასთან.

ფორმა 1

პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის (ტემპერატურის გაზომვით) აღრიცხვის ჟურნალი

№	შემოწმების დღე და საათი	დასაქმებულის შესახებ მონაცემები	ტემპერატურა	კონტაქტი (დიახ, არა)	რესპირატორული სიმპტომები (დიახ, არა)	შენიშვნა	ხელმოწერა

შენიშვნა:

სამუშაო ადგილზე სამუშაოს დაწყების წინ უნდა გაკონტროლდეს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ტემპერატურის გაზომვით) და აღირიცხოს იგი ჟურნალში, სადაც დაფიქსირებული იქნება პასუხები შემდეგ კითხვებზე: 1. ტემპერატურული რეაქცია; 2. შემდგარი კონტაქტი ავადმყოფ და ინფექციაზე საეჭვო პირთან; 3. რესპირატორული სიმპტომების არსებობა, ასევე გემოს და სუნის აღქმის დაკარგვა. ცხელების დაფიქსირების შემთვევაში უნდა მოხდეს ბსუ-ს ადმინისტრაციის ინფორმირება, რათა უნივერსიტეტმა დაუყოვნებლივ მიმართოს 112-ის ცხელ ხაზს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/49

ქ. ბათუმი, 25 მაისი, 2020 წ.

2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდის) ვადების ხელახალი განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, „ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №06-01/70 დადგენილების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', „კორონავირუსული ინფექციების შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ბსუ-ს პერსონალის სამსახურში გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ” ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 13 მარტის N01-10/37 ბრძანების, „ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელი დროებითი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 16 მარტის №01-02/35 ბრძანების, ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 18 მარტის MEშ 8 20 00307188 და 6 მაისის N363482, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 27 თებერვლის MEშ 6 20 00255562 და 30 აპრილის N355672, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 28 თებერვლის MEშ 3 20 00261247 და 5 მაისის N361561, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის 2020 წლის 12 მარტის MEშ 3 20 00296618 და 5 მაისის N363031, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 26 თებერვლის MEშ 8 20 00249903 და 30 აპრილის N355935, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 12 მარტის MEშ 1 20 00296913 და 27 აპრილის N349428, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 16 მარტის MEშ 8 20 00303380 და 1 მაისის N357645 მოხსენებითი ბარათების, „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების, „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ბსუ-ში სასწავლო პროცესის განხორციელების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 31 მარტის N01-02/39 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოში ახალი კორონა ვირუსის გავრცელების გამო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის, რომელთაც 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 30 იანვრის №01-02/12 ბრძანების შესაბამისად არ გადაუხდიათ სწავლის საფასური (არ გაუვლიათ ადმინისტრაციული რეგისტრაცია, განისაზღვროს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლის სემესტრული საფასურის გადახდისათვის (ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის) ახალი ვადები და ეტაპები შემდეგნაირად:

ა) I ეტაპზე სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 50% - 2020 წლის 22 ივნისის ჩათვლით;

ბ) II ეტაპზე სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 50% - 2020 წლის 27 ივლისის ჩათვლით.

2. სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - თღEშGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289. დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაკულტეტი, სპეციალობა, სწავლების წელი. იმისათვის, რომ გადახდილი სწავლის/კრედიტების საფასური ავტომატურად აისახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას ბანკში საბილინგო სისტემა. გადახდა ასევე შესაძლებელია სწრაფი ჩარიცხვის აპარატებისა და ელექტრონული გადახდების სისტემებიდან.

3. სტუდენტებს განემარტოთ, რომ ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესის თანახმად, აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირებს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში 1 აპრილიდან ერიცხებათ მთელი სემესტრის სწავლის საფასურის დავალიანება, რომლის 2 ეტაპად გადახდის შესაძლებლობას ითვალისწინებს წინამდებარე ბრძანება.

4. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 30 იანვრის N01-02/12 ბრძანება.

5. წინამდებარე ბრძანება, დაინტერესებულ პირთათვის საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და სტუდენტური პორტალის მეშვეობით შესაბამისი ინფორმაცია დაეგზავნოს სტუდენტებს.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, სტრუქტურულ ერთეულებს: სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი
მერაბ ხალვაში

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/30

ქ. ბათუმი, 29 მაისი, 2020 წ.

ბსუ-ს რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების, ბსუ-ს წესდების მე-13, 29-ე და 37-39-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 27 მაისის N26 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევისა და რექტორის მოვალეობის შემსრულებლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 ივლისის N55 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 2020 წლის 1 ივნისს გამოცხადდეს არჩევნები საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ბსუ) რექტორის თანამდებობის 2020 წლის 20 ივლისიდან დასაკავებლად.

2. ბსუ-ს რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);

ბ) 5 წლის სამუშაო გამოცდილება;

გ) სამოქმედო გეგმა.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი N13), 2020 წლის 1 ივლისიდან 7 ივლისის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე.

4. კანდიდატმა საარჩევნო კომისიაში სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) კანდიდატის სარეგისტრაციო განცხადება (შევსებული დანართი 1-ის შესაბამისად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

ე) სამოქმედო გეგმა;

ვ) ფერადი ფოტო, ზომით 3/4;

ზ) ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ (დასაქმების ადგილიდან გაცემული ცნობა/დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან/და სხვა, კანონმდებლობითი დადგენილი წესით გაცემული ცნობა);

თ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ი) ცნობა ნასამართლეობის შესახებ.

5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყოს 2020 წლის 15 ივლისს, 12:00 სთ-ზე.

6. ბსუ-ს რექტორის არჩევნები ჩატარდეს 2020 წლის 15 ივლისს, 15:00 სთ-ზე.

7. კანდიდატთა რეგისტრაცია და რექტორის არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს ბსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიამ და იხელმძღვანელოს ბსუ-ს წესდებით, წინამდებარე დადგენილებით და ბსუ-ს საარჩევნო დებულებით.

8. ბსუ-ს რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადების (დანართი 2) მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით არაუგვიანეს 2020 წლის 1 ივნისისა გამოქვეყნება (რექტორობის კანდიდატების რეგისტრაციის შეწყვეტამდე ვადით) დაევალოს:

ა) ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს;

ბ) ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) – ბსუ-ს კანცელარიას და ფაკულტეტების დეკანების ოფისებს.

9. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

10. ბსუ რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების შესახებ განცხადება გამოქვეყნდეს ბსუ-ს გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“ არაუგვიანეს 2020 წლის ივნისის პირველი კვირისა.

11. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და იურიდიულ დეპარტამენტს.

12. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის №30).

13. დადგენილება ძალაში შევიდეს ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი
მერაბ ხალვაში

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის29 მაისის №06-01/30 დადგენილების დანართი 1

კანდიდატის განაცხადი ბსუ-ს რექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ არჩევნებში რეგისტრაციისათვის

სახელი	
გვარი	
მამის სახელი	
პირადობის მოწმობის პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	

კანდიდატის თანხმობა პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ:

გავეცანი ბსუ-ს წესდებას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს და თანხმობას ვაცხადებ ბსუ-ს მიერ დამუშავდეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია საქართველოს შრომის კოდექსის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ბსუ-ს წესდების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

ინფორმაცია კანდიდატის ნასამართლეობის შესახებ (მათ შორის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის/ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ინფორმაცია იმ გარემოების (ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამუშაო განრიგი, სამუშაო პირობები, სხვა) შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეგიშალოთ რექტორის ფუნქცია- მოვალეობების შესრულებაში (ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში, განსაზღვრეთ მიზეზი):

ქვემორე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ განაცხადში და თანდართულ ავტობიოგრაფიაში მითითებული ინფორმაცია, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის ნამდვილი.

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

განაცხადის წარმოდგენის თარიღი (დღე, თვე, წელი) ----------

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის29 მაისის №06-01/30 დადგენილების დანართი 2

განცხადება

ბსუ-ს რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების შესახებ

1. 2020 წლის 1 ივნისს გამოცხადდეს არჩევნები საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ბსუ) რექტორის თანამდებობის 2020 წლის 20 ივლისიდან დასაკავებლად.

2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

3. ბსუ-ს რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);

ბ) 5 წლის სამუშაო გამოცდილება;

გ) სამოქმედო გეგმის წარმოდგენა.

4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი N13), 2020 წლის 1 ივლისიდან 7 ივლისის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე.

5. კანდიდატმა ამ დადგენილების მე-3 პუნქტში მითითებულ ვადაში საარჩევნო კომისიაში სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ფერადი ფოტო, ზომით 3/4;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

ე) ბსუ-ს განვითარების სამოქმედო გეგმა;

ვ) ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ (დასაქმების ადგილიდან გაცემული ცნობა/დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან/და სხვა, კანონმდებლობითი დადგენილი წესით გაცემული ცნობა);

ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

თ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ.

6. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყოს 2020 წლის 15 ივლისს, 12:00 სთ-ზე.

7. ბსუ-ს რექტორის არჩევნები ჩატარდება 2020 წლის 15 ივლისს, 15:00 სთ-ზე.

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე



გაზეთი დაიბეჭდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში